საქართველოს 2024-2025 წლების კლიმატის სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესი

ტექნიკური დავალება

პროექტის დასახელება:	კლიმატის პოლიტიკის შესაძლებლობების გაძლიერება სამხრეთ აღმოსავლეთ, აღმოსავლეთ ევროპის, სამხრეთ კავკასიისა და ცენტრალური აზიის ქვეყნებში, ფაზა III (CDCPIII)
პროექტის ნომერი:	2016.9088.2-004.00
დავალების დასახელება:	ტრანსპორტის სექტორში ემისიების შემცირების შესაძლებლობების გამოვლენა/შეფასება და საქართველოს 2024-2025 კლიმატის სამოქმედო გეგმის ტრანსპორტის სექტორში საქართველოს 2030 წლის კლიმატის სტრატეგიაში ასახული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისად პოტენციური აქტივობების და მათი შესრულების ინდიკატორების ინდენტიფიცირება და დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციების შედეგად მათი ფორმულირება და სამოქმედო გეგმაში ასახვა
ენა:	ქართული
სამუშაოს ადგილი/ფორმატი:	თბილისი, ქალაქ/ქვეყნის გარეთ მივლინებების გარეშე
დავალების ხანგრძლივობა:	15.06.2023 – 31.12.2023
დაქირავების პროცესის ზედამხედველი	ილკა სტაროსტ

შესავალი

გაეროს კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენციის (UNFCCC) მხარეთა კონფერენციის 1/CP21 გადაწყვეტილების 24-ე პარაგრაფის შესაბამისად საქართველომ 2021 წელს მოამზადა და კონვენციის სამდივნოს წარუდგინა ეროვნულ დონეზე განსაზღვრული წვლილის განახლებული დოკუმენტი (შემდგომში ეროვნულ დონეზე განსაზღვრული წვლილი/NDC). ასევე, საქართველომ მიიღო კლიმატის ცვლილების 2030 წლის ეროვნული სტრატეგია და 2021-2023 წლების სამოქმედო გეგმა (შემდგომში კლიმატის სამოქმედო გეგმა/CAP) საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის პოლიტიკის დაგეგმვის მოთხოვნათა შესაბამისად. კლიმატის ეროვნული სტრატეგია მოიცავს ეროვნულ დონეზე განსაზღვრული წვლილის დოკუმენტში დასახული მიზნების მიღწევის კოორდინირებული ძალისხმევის დაგეგმვისა და განხორციელების მექანიზმს, სადაც ასახულია სათბურის აირების ემისიების შემცირების გრძელვადიანი ხედვა, მიზნები და ამოცანებ, ასევე სამომავლო პრიორიტეტული მიმართულებების სექტორების მიხედვით. სამოქმედო გეგმა, თავის მხრივ, მოიცავს დაგეგმილ კონკრეტულ აქტივობებს ამ მიზნებისა და ამოცანების მისაღწევად და წარმოადგენს შესრულების დეტალურ სქემას სექტორების მიხედვით სამი წლისათვის (2021-2023).

კლიმატის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა მოიცავს შემდეგ 7 სექტორს: ენერგიის გენერაცია და გადაცემა, ტრანსპორტი, შენობები, მრეწველობა, სოფლის მეურნეობა, ნარჩენების მართვა და სატყეო. სექტორების მიხედვით ემისიების (ისტორიული, ფაქტობრივი, სამომავლო) დათვლა მოხდა PROSPECTS+ (Policy-Related Overall and Sectoral Projections of Emission Curves and Time Series) პროგრამის საშუალებით. PROSPECTS+ არის ნიუკლიმატ ინსტიტუტის (NewClimate Institute) მიერ ექსელის ბაზაზე შექმნილი პროგრამა, რომელიც

იყენებს დეკარბონიზაციისთვის რელევანტურ აქტივობისა და ინტენსივობის ინდიკატორებს, რათა მოახდინოს ზოგადი და სექტორული სათბურის აირების ემისიების ტრენდების და სცენარების დათვლა და პროექცია.

2024-2025 წლებისთვის განახლებული კლიმატის სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცეში ეროვნული ექპერტების ჩართვის მიზანია თავიდანვე იყოს გათვალისწინებული და ასახული სექტორისთვის მნიშვნელოვანი ყველა ასპექტი და ქმედება. ამ მიდგომით გვინდა სამოქმედო გეგმის დოკუმენტში აისახოს მხოლოდ რეალისტური და მიღწევადი ღონისძიებები, რაც სრულად შეესაბამება საქართველოს 2030 წლის კლიმატის სტრატეგიაში ასახული სექტორულ მიზნებსა და ამოცანებს, ასევე ამ სექტორის განვითარების პრიორიტეტულ ხედვასა და გეგმებს.

2024-2025 წლებისთვის განახლებული კლიმატის სამოქმედო გეგმის შემუშავება ხორციელდება გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) რეგიონული პროგრამის „კლიმატის პოლიტიკის შესაძლებლობების გაძლიერება სამხრეთ აღმოსავლეთ, აღმოსავლეთ ევროპის, სამხრეთ კავკასიისა და ცენტრალური აზიის ქვეყნებში, ფაზა III"-ის მხარდაჭერით. პროგრამა დაფინანსებულია გერმანიის ეკონომიკისა და კლიმატის ფედერალური სამინისტროს (BMWK) მიერ.

კლიმატის ცვლილების პოლიტიკის სახელმწიფო მანდატი

კლიმატის ცვლილების პოლიტიკის განვითარებაზე პასუხისმგებელი სახელმწიფო სტრუქტურული ერთეული არის საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს გარემოსა და კლიმატის ცვლილების დეპარტამენტის კლიმატის ცვლილების სამმართველო. შესაბამისად, განახლებული კლიმატის სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესებში მაკოორდინირებელი როლი სწორედ ამ სტრუქტურულ ერთეულს აქვს. ასევე, დოკუმენტების შემუშავების პროცესში ჩართულნი არიან სხვადასხვა დაინტერესებული მხარეები.

ზოგადი სამუშაო აღწერილობა ტრანსპორტის სექტორული ექსპერტი):

დავალება: ტრანსპორტის სექტორში ემისიების შემცირების შესაძლებლობების გამოვლენა/შეფასება და 2030 წლის კლიმატის სტრატეგიაში ასახული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისად პოტენციური აქტივობების და მათი შესრულების ინდიკატორების ინდენტიფიცირება და დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციების შედეგად მათი ფორმულირება და სამოქმედო გეგმაში ასახვა

აქტივობა	შესრულების ვადა
2021-2023 წლების სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშის საფუძველზე სექტორში ემისიიების განხორციელებული აქტივობების ემიეისების შემცირების პოტენციალის და ამბიციის გაზრდის პოტენციალის გამოვლენა და შეფასება	15 ივლისი
დაინტერესებული მხარეების იდენტიფიცირება, საჭიროების შემთხევაში მათთან შეხვედრების ჩანიშვნა, შეხვედრა ინფორმაციის მოძიების/დაზუსტების მიზნით	15 ივლისი
სტრატეგიაში ასახული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისად, სექტორის განვითარების მიმართულებების და პოტენციური ღონისძიებების იდენტიფიცირება	15 ივლისი
2024-2025 წლების კლიმატის სამოქმედო გეგმის ტრანსპორტის სექტორის ნაწილის სამუშაო ვერსიის შემუშავება დადგენილი ნიმუშის მიხედვით	30 ივნისი
სექტორის მიხედვით დაინტერესებული მხარეების სამუშაო შეხვედრაში მონაწილეობის მიღება, სამოქმედო გეგმის სექტორის ნაწილის სამუშაო ვერსიის პრეზენტაცია, შეხვედრაზე განხილული საკითხების დოკუმენტირება და ასახვა კლიმატის სამოქმედო გეგმის სამუშაო ვერსიაში.	31 ივლისი

საჭიროების შემთხვევაში სექტორის დაინტერესებული მხარეების მეორე სამუშაო შეხვედრაში მონაწილეობა და შედეგების ასახვა კლიმატის სამოქმედო გეგმის სამუშაო ვერსიაში	31 ივლისი
კლიმატის სამოქმედო გეგმის სექტორის ნაწილის საბოლოო ვერსიის წარდგენა GIZ-ისა და კლიმატის ცვლილების სამმართველოსათვის	31 აგვისტო
კლიმატის სამოქმედო გეგმის სექტორის ნაწილის საბოლოო ვერსიის განახლება ვალიდაციის პროცესში სხვადასხვა დაინტერესებული მხარეებისგან მიღებული კომენტარების მიხედვით	30 სექტემბერი

შედეგები

2024-2025 წლების კლიმატის სამოქმედო გეგმის ტრანსპორტის სექტორის ნაწილის სამუშაო ვერსიის შემუშავება	15 ივლისი, 2023
კლიმატის სამოქმედო გეგმის ტრანსპორტის სექტორის ნაწილის საბოლოო ვერსიის მომზადება	30 სექტემბერი, 2023

კლიმატის სამოქმედო გეგმის შემუშავების სექტორული კონსულტაციები (4 ნაბიჯი)

ეროვნულ ექსპერტს დავალების შესასრულებლად, ქვემოთ ჩამოთვლილი 4-ვე ნაბიჯის გათვალისწინებით, დასჭირდება 10 დღე (კონსულტანტის დღე).

კონტრაქტის ვადა: 15.06.2023 – 31.12.2023

CAP-ის სრულყოფილად შემუშავების მიზნით, სექტორული ექსპერტის მიერ CAP-ის სექტორული სამუშაოს შესრულებისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს შემდეგი 4 ნაბიჯი:

- **ნაბიჯი 1: ექსპერტის მიერ კლიმატის სამოქმედო გეგმის სექტორის ნაწილის სამუშაო ვერსიის მომზადება დადგენილი ნიმუშის მიხედვით (სტრატეგიაში გაწერილი მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები და მათი შესრულების ინდიკატორები),** როგორც შემდგომში ტექნიკური სამუშაო ჯგუფის (TWG) შეხვედრის ძირითადი მასალა. ეს უნდა მოიცავდეს სექტორში დაგეგმილი ღონისძიებების ჩამონათვალს მათი ემისიის შემცირების პოტენციალთან ერთად. ამ ღონისძიებების შესახებ ინფორმაცია უნდა შეგროვდეს კონკრეტული სექტორის მთავარ და მნიშვნელოვან განმახორციელებელ ინსტიტუტებთან ორმხრივი კონსულტაციების შედეგად.
- **ნაბიჯი 2: სექტორის ტექნიკური სამუშაო ჯგუფის (TWG) შეხვედრა,** რათა წინასწარ იდენტიფიცირებულმა სექტორისთვის რელევანტური უწყებებისა და ორგანიზაციების წარმომადგენლებმა (TWG მონაწილეებმა) განიხილონ და დაადასტურონ ეროვნული ექსპერტის მიერ წარდგენილი CAP-ის აქტივობების, უფრო კონკრეტულად კი, ინფორმაცია არსებული და დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ. ასევე განიხილონ, თუ რომელია პრიორიტეტული სფეროები სექტორში სამომავლო ღონისძიებების დაგეგმვისა და განხორციელებისთვის, ამ ღონისძიებების თანმხლები ბარიერების გათვალისწინებით.
- **ნაბიჯი 3**: **CAP-ის სექტორის ნაწილის საბოლოო ვერსიის მომზადება,** ეროვნული ექსპერტის მიერ სექტორის ნაწილის სამუშაო ვერსიის განახლება TWG-ის შეხვედრაზე მიღებული მონაცემების და პოლიტიკის დაგეგმვის ექსპერტის რეკომენდაციების საფუძველზე.
- **ნაბიჯი 4: კლიმატის ცვლილების სამმართველოს მიერ CAP-ის სექტორის ნაწილის საბოლოო ვერსიის გაგზავნა შესაბამის სამთავრობო სტრუქტურებთან** შეთანხმებისა და დადასტურებისათვის. საჭიროების შემთხვევაში, მათგან მიღებული კომენტარების ასახვა.

კვალიფიკაცია/გამოცდილება ექპერტისთვის

- ბაკალავრის ხარისხი შესაბამის ან მომიჯნავე სფეროში, მაგისტრის/ექვივალენტური ხარისხის მქონდე კანდიდატებს მიენიჭებათ უპირატესობა;
- სექტორში მუშაობის 5 წლის გამოცდილება; არანაკლებ 3 წლის მსგავსი დავალებების შესრულების გამოცდილება და საკონსულტაციო მომსახურების გაწევის გამოცდილება. პოლიტიკის დოკუმენტზე მუშაობის გამოცდილების მქონე კანდიდატებს მიენიჭებათ უპირატესობა;
- საქართელოს ტრანსპორტის პოლიტიკის და განვითარების მიმართულებების სიღრმისეული ცოდნა; ტრანსპორტის სექტორის დაინტერესებულ მხარეებთან მუშაობის გამოცდილება; ტრანსპორტის მონაცემების მოძიება-დამუშავების გამოცდილება;
- კომუნიკაციის, ანალიტიკური და კვლევის უნარები (საქართველოს ტრანსპორტის სექტორის შერბილების პოტენციალის და არსებული შემარბილებელი ღონისძიებების მოძიება-ანალიზი);
- ქართული ენის სრულყოფილად ცოდნა (წერის უნარები). ინგლისური ენის ცოდნას მიენიჭება უპირატესობა.

ფინანსური დებულებები

თანდართული ფასების ცხრილი უნდა იქნას გამოყენებული ფინანსური შეთავაზების მომზადებისთვის.

შეფასების კრიტერიუმები მოცემულია თანდართულ Excel ფაილში.

მოთხოვნილი დოკუმენტები

- ფინანსური შეთავაზება
- Curriculum Vitae (CV) ინგლისურად

Developing Georgia's Climate Action Plan for 2024-2025

Terms of Reference

Project name:	Capacity Development for Climate Policy in the Countries of South-eastern, Eastern Europe, South Caucasus and Central Asia, Phase III (CDCPIII)
Project number:	2016.9088.2-004.00
Assignment title:	Identifying/evaluating emissions reduction opportunities in the transport sector and in consultations with stakeholders identifying potential activities and outcome indicators to be included in the 2024-2025 Climate Action Plan of Georgia in accordance with the goals and objectives outlined in Georgia's 2030 National Climate Strategy.
Language:	Georgian
Duty station/format:	Tbilisi/Work home-based and duty travels are not envisaged
Assignment duration:	15.06.2023 – 31.12.2023
Technical supervisor:	Ilka Starrost

Background

In accordance with paragraph 24 of the 1/CP21 decision of COP of the UN Framework Convention on Climate Change (UNFCCC), Georgia prepared in 2021 and submitted to the Convention Secretariat an updated document of Nationally Determined Contributions (NDC). In addition, Georgia adopted the 2030 National Climate Strategy and 2021-2023 Action Plan (CSAP) in accordance with the policy planning requirements of the Government Administration of Georgia. CSAP is a mechanism for planning and implementing coordinated efforts to achieve the goals set out in the NDC, which covers the long-term vision, goals and objectives of reducing greenhouse gas emissions, as well as future priority areas. While Climate Actions Plan (CAP) includes specific activities to achieve these goals and objectives. In its form it is a detailed 3=year (2021-2023) implementation plan.

CSAP includes the following 7 sectors: energy generation and transmission, transport, buildings, industry, agriculture, waste management and forestry. Sectoral emissions (historical, actual, future) were counted using the PROSPECTS+ (Policy-Related Overall and Sectoral Projections of Emission Curves and Time Series) program. PROSPECTS+ is an Excel based program created by the NewClimate Institute that uses Activities and intensity indicators relevant for decarbonization to count and project general and sectoral greenhouse gas emissions trends.

The main objective of involving the national experts in the development of the updated CAP for 2024-2025 is to take into account and reflect all aspects and actions important to the sector from the very beginning. With this approach, we would like to reflect only realistic and achievable measures in the action plan document, which are fully in line with the sectoral goals and objectives outlined in Georgia's 2030 Climate Strategy, as well as the priority vision and plans for the development of this sector.

The development of an updated CAP for 2024-2025 is implemented with the support of GIZ's regional program "Capacity Development for Climate Policy in the Countries of South-eastern, Eastern Europe, South Caucasus and Central Asia, Phase III". The program is funded by the German Federal Ministry of Economy and Climate Action (BMWK).

Climate Change Policy Mandate

The state structural unit responsible for the development of climate change policy is the Climate Change Division of the Department of Environment and Climate Change of the Ministry of Environmental Protection and Agriculture of Georgia. Therefore, this structural unit has a coordinating role in the development of the updated CAP. In addition, various stakeholders are involved in the development of documents.

Tasks and deliverables (transport Sector Expert):

Assignment: Detect/assess emissions reduction opportunities in the transport sector and in consultations with stakeholders identify potential activities and outcome indicators in accordance with the goals and objectives outlined in the Georgia's 2030 Climate Strategy.

Activity	Deadline
Assessing the emission reduction potential of the implemented activities and identifying and evaluating the potential for increasing the ambition for emissions reduction in the sector based on the 2021-2023 Action Plan Implementation Report	July 15
Identifying stakeholders, scheduling and conducting meetings if needed to find/clarify information	July 15
Identify priority areas and potential activities of the sector development that are in line with goals and objectives outlined in the CSAP	July 15
Develop draft of the transport sector part of the 2024-2025 Action Plan according to the established template	July 15
Participate in the sector stakeholder meetings, present draft of the transport sector part, document and reflect the issues discussed at the meeting in the draft.	July 31
Participate in the second stakeholder meeting if necessary and reflect the results in the draft Action Plan	July 31
Present the final version of the transport sector part of the Climate Action Plan to the GIZ and Climate Change Division	August 31
Update of the final version of the transport sector part of the Climate Action Plan according to comments received from various stakeholders in the validation process	September 30

Deliverables

Draft of the transport sector part of the 2024-2025 Action Plan	July 15, 2023
Final version of the transport sector part of the Climate Action Plan	September 30, 2023

Sectoral Consultations for the development of the Climate Action Plan (4 Steps)

The National Expert will need 10 days (Consultant Day) to complete the task, taking into account all the 4 steps listed below.

Contract Term: 15.06.2023 – 31.12.2023

To develop the CAP, the following 4 steps shall be taken into account by a sector expert when performing the sectoral work of CAP update:

1. **Step 1: Preparing draft of the transport sector part of the Climate Action Plan according to the established template (activities corresponding to the goals and objectives outlined in the strategy and outcome indicators).** As basis for the subsequent Technical Working Group (TWG) meeting, this draft should include a list of planned measures in the sector along with their emission reduction potential. Information about these measures should be collected in consultations with the main and important implementing institutions of the sector.
2. **Step 2: Conduct sectoral Technical Working Group (TWG) meeting** for the representatives of pre-identified agencies and organizations relevant to the sector to discuss and confirm the activities of the CAP submitted by the National Expert, more specifically, on existing and planned activities. Also consider which are the priority areas for planning and implementing future activities in the sector with the respective barriers.
3. **Step 3: Preparing the final version of the transport sector part of the CAP**, updating the draft of the transport sector part based on the information obtained at the TWG meeting and the recommendations of the policy planning expert.
4. **Step 4: Sending the final version of the transport sector part of the CAP** to the Climate Change Division for them to obtain approval from the relevant government agencies. Reflecting on the comments received from them if necessary.

Qualification and experience of the expert

- Bachelor's degree in the relevant or related field, master's/equivalent degree will be an asset.
- 5 years of experience working in the sector. Experience in performing similar tasks for at least 3 years and experience in providing consulting services. Experience of working on a policy document will be an asset.
- In-depth knowledge of transport policy and development of Georgia. Experience working with stakeholders in the transport sector. Experience in finding and processing transport data.
- Communication, analytical and research skills (finding and analyzing the potential for mitigation of the transport sector of Georgia and existing mitigation measures).
- Perfect command of the Georgian language (writing skills). Knowledge of English will be an asset.

Financial Provisions

The attached price schedule is to be used for the preparation of the financial offer.

Assessment criteria are provided in the attached Excel file.

Required Documents

- Price Offer
- Curriculum Vitae (CV) in English